საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლოლაშვილი ჟანრი გიორგის ძე

ჟ. ლოლაშვილი

ლოლაშვილი ჟანრი გიორგის ძე (დ. 22. IV. 1942, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, მხატვარი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). 1963 დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფისტთა ინ-ტის უმაღლესი კურსები, 1965 – შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1958–61 იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარ-მულტიპლიკატორი; 1963–64 – ზუგდიდის სახელმწ. თეატრის მსახიობი. 1966-იდან მოღვაწეობს რუსთაველის თეატრში, სადაც შეასრულა შემდეგი როლები: ტიმოთე (ა. ცაგარლის ,,ხანუმა“), გრენგოლმი (შ. დადიანის „გუშინდელი“), მწერალი (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე“), მერკუციო, მასხარა (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა“, ,,მეფე ლირი“), მთხრობელი (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე“; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1979), ვარსქენი (,,შუშანიკის მარტვილობა“, იაკობ ცურტაველის მიხედვით), გოგი, ბანდიტი, დავითი (რ. სტურუას, ა. ვარსიმაშვილის, ლ. ფოფხაძის ,,ვარიაციები თანამედროვე თემაზე“), იონა (ლ. თაბუკაშვილის ,,ათვინიერებენ მიმინოს“), ლუარსაბი (,,კაცია-ადამიანი?!“, ი. ჭავჭავაძის მიხედვით, დაჯილდოვდა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის რუსთავის საერთაშ. თეატრ. ფესტივალზე ,,ოქროს ნიღაბი“, 2000) და სხვ. ლ-ს შექმნილი აქვს მრავალი დასამახსოვრებელი ეკრანული სახე. მისი კინოდებიუტი შედგა ა. რეხვიაშვილის ფილმში „ნუცა“ (თავადი, 1971); „მწვანე მდელო“ (მხატვარი; 1973), „საფეხური“ (1986), „მიახლოება“ (მამა; 1989); სამივეს რეჟ. ა. რეხვიაშვილი), „ერთი ნახვით შეყვარება“ (რეჟ. რ. ესაძე, 1975), „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“ (ილია ილიჩი; 1990, ორივეს რეჟ. ი. კვირიკაძე), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (ირაკლი; რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1978), „მომეხმარეთ

იალბუზზე ასვლაში“ (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1981), „ჭა“ (ხრინგაძე; რეჟ. პ. ჩარკვიანი,1988), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (გარსია პედრო, სულით ავადმყოფი; რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), „ნათლისღება“ (რეჟ. ნ. მანაგაძე, 1994), „ერთაწმინდა“ (რეჟ. ზ. თუთბერიძე, 1994), „სამი სახლი“ (ფსიქიატრი, ჯემალი, 2008), „დარჩი ჩემთან“ (2011), ტელესერიალში „ცხელი ძაღლი“ (ბიძინა თაბაგარი; 2003–09; სამივეს რეჟ. ზ. ურუშაძე).

ლ-მა შექმნა ტელეგრაფისტ ქრისტოფერ ჰიუზის შთამბეჭდავი სახე ნ. ჯორჯაძის ფილმში „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ (1986). მონაწილეობდა სატელევიზიო სპექტაკლებში: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და სხვ. ლ-ის მიერ შესრულებული როლები გამოირჩევა ხასიათის მრავალფეროვნებითა და დამაჯერებლობით. მნიშვნელოვანია მისი ფერწერული ნამუშევრებიც. 2020 თბილისში მოეწყო ლ-ის გამოფენა „გალერეა არტში“, საქართვ. ეროვნ. მუზეუმისა დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში.